დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები კლასში

ავტორი თემურ სუყაშვილი

დემოკრატია ევროპის საბჭოს სამი ძირითადი (კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები) საყრდენიდან ერთ-ერთია. სწორედ ამიტომ, ევროპის საბჭოს ეგიდით შეიქმნა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, რომელიც დაყოფილია ოთხ მიმართულებად და აერთიანებს 20 კომპეტენციას.



დემოკრატიული ღირებულებებისა და თანმხლები პროცესების გაცნობას მოსწავლეები იწყებენ სკოლიდან. საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიც ეხმიანება აღნიშნულს. განათლების სისტემა ხომ მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო პროცესში ჩართულ პირებს აძლევს საშუალებას, ასწავლოს, ისწავლოს ან შეაფასოს განსხვავებული კომპეტენციები.

ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებ სწორედ შეფასების ნაწილზე. იმისთვის, რომ დავადგინოთ თუ სად იმყოფებიან ჩვენი მოსწავლეები, რა მიმართულებით საჭიროებენ გაუმჯობესებას – შემუშავებული იქნა დესკრიპტორები. სკოლა, თავის მხრივ, აქტიურად უნდა ჩაერთოს პროცესში. გთავაზობთ ორ აქტივობას, რომელთა დახმარებითაც შეგიძლიათ დაადგინოთ თქვენი მოსწავლეების დამოკიდებულებები, ღირებულებები და ა.შ.

აქტივობა – თვალებახვეული არჩევნები

წინასწარ მოამზადეთ განცხადებები, რომლებზეც ორი პასუხის „ვეთანხმები/არ ვეთანხმები“ დაფიქსირება იქნება შესაძლებელი. განცხადებების შედგენისას იხელმძღვანელეთ დესკრიპტორებით. ისინი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური.

მოსწავლეებს აუხსენით, რომ ისინი მონაწილეობენ სიმულაციაში. სთხოვეთ, დახუჭონ თვალები. უკეთესია, თან გქონდეთ ფერადი ნაჭრები, რომლითაც აიხვევენ თვალებს. უთხარით, რომ ისინი მოისმენენ რამდენიმე განცხადებას, პასუხები დააფიქსირონ ხელის აწევით. თუ ეთანხმებიან, კონკრეტულ განცხადებას, ასწიონ ხელი.

მაგალითისთვის, გთავაზობთ ღირებულებებისა და დამოკიდებულებების კომპეტენციაზე მომზადებულ რამდენიმე განცხადებას. აქვე დავძენ, რომ მათი შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკსა და მზაობას.

ყველა ადამიანის უფლებას ვცემ პატივს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მძიმე დანაშაულისთვის შეიძლება წამება;

ვფიქრობ, რომ განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები ერთ სივრცეში არ უნდა იღებდნენ განათლებას;

დემოკრატია საჭიროა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რადიკალური ჯგუფებისთვის უფლებების შეზღუდვა დასაშვებად მიმაჩნია;

მიყვარს ის კულტურა, რომლის წარმომადგენელიც ვარ. ასევე, სიამოვნებით ვეცნობი განსხვავებულ კულტურებსაც;

ყოველთვის მზად ვარ, ავიღო პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე;

ჩემს მეზობლად რამდენიმე ქუჩა დაბინძურებულია. ეს პრობლემა მე არ მეხება;

ჩემი თანაკლასელი სხვა რელიგიის წარმომადგენელია. მე პატივს ვცემ მათ დღესასწაულებს.

რატომ თვალებახვეული არჩევნები?

თავიდან ავიცილებთ თანაკლასელებს შორის გაუგებრობას;

მათ არ ეცოდინებათ, ვინ რა პოზიცია დააფიქსირა კონკრეტულ განცხადებაზე;

გვეძლევა დიაგნოსტირების საშუალება;

სურვილისამებრ, შეგიძლიათ სთხოვოთ, თავიანთი პოზიციების წერილობით არგუმენტირება.

აქტივობის დასრულების შემდეგ თ ქვენ გექნებათ გარკვეული წარმოდგენა, რა მიმართულებით გააგრძელოთ კონკრეტული კლასთან თუ ჯგუფთან შემდგომში მუშაობა.

რიგითობის თამაში/Ranking games

მოსწავლეები გაანაწილეთ ჯგუფებში. დაურიგეთ დესკრიპტორების მიხედვით შედგენილი ერთი და იგივე მოკლე განცხადებები. მიეცით დრო, რომ განცხადებები დაალაგონ ორ ჯგუფად: ყველაზე პრიორიტეტული და ნაკლებად პრიორიტეტული. აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფები ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას, რატომ მიანიჭეს პრიორიტეტი ამა თუ იმ განცხადებას.

დისკუსიის დროს თქვენ აკეთებთ ჩანაწერებსა და ჩანიშვნებს:

რომელი განცხადებებია კლასში ნაკლებად პრიორიტეტული;

რით ასაბუთებენ მათ ნაკლებად პრიორიტეტულობას;

რა მოსაზრებებია პრიორიტეტულ განცხადებებთან მიმართებით კლასში.

აღნიშნული აქტივობის შემდეგ თქვენ გექნებათ გარკვეული წარმოდგენა პრობლემურ მიმართულებებზე.

პირველი აქტივობა გვაძლევს საშუალებას, ინდივიდუალურად ვიმუშაოთ მოსწავლეებთან. და აღმოჩენილი პრობლემის მიხედვით დავგეგმოთ შემდგომში მუშაობის პროცესი.

მეორე აქტივობის განხორციელებისას, პრობლემის აღმოჩენის გარდა, შეგვიძლია ამოვიცნოთ, რომელიმე მოსწავლე ზეგავლენას ხომ არ ახდენს დანარჩენებზე.

რადგან საკმაოდ რთულ საკითხს ვეხებით, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში არ არსებობს პრობლემის მოგვარების ერთი კონკრეტული გზა. სწორედ ამიტომ, მე გთავაზობთ მისი აღმოჩენის საშუალებებს, ხოლო ყველა შემთხვევაში მის მოგვარებას სჭირდება შესაბამისი მიდგომა, ზოგჯერ ინდივიდუალურიც კი. პრობლემის პერსონიფიცირება ასმაგად გაგვიადვილებს მის გადაჭრას. საბოლოოდ კი ინტენსიური მუშაობა სასურველ შედეგს მოგვცემს.

გამოყენებული წყაროები:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო – I და II ტომი.